

პილონური გადასახედი პლატფორმა კანიონზე


კიდული, კონსოლური ბილიკები კანიონზე




საკონტროლო-გამშვები პუნქტი

## 2. "პრომოთეს" მღვიმის საწყალოსნო ტურისტული ინფრასტრუქტურა

"პრომოთეს" მღვიმის საწყალოსნო მონაკვეთი წარმოადგენს არსებული სახმელეთო მონაკვეთის (სიგრძით 1200მ) გაგრძელებას. მასზე ვიზიტორთა გადაადგილება ხორციელდება ელექტროძრავიანი კანოეს ტიპის ნავების მეშვეობით. საწყალოსნო მონაკვეთის მოსაწყობად დაიგეგმა მღვიმეში არსებული სამი სიფონის გახსნა, მათში გვირაბების გაყვანის გზით, სიგრძით შესაბამისად 35, 10 და 10მ. გვირაბებმა ერთმანეთს და სახმელეთო მონაკვეთს დააკავშირა მღვიმეში არსებული ბუნებრივი მიწისქვეშა ტბები. დაგეგმარდა მღვიმის საწყალოსნო მონაკვეთის მხატვრული ფერადი განათება.

გარდა ზემოთაღნიშნულისა შესრულდა მღვიმისგარეთა ინფრასტრუქტურის დაგეგმარებაც, რომელიც მოიცავს:

- ხელოვნური წყალსატევი მღვიმის საწყალოსნო მონაკვეთის გამოსასვლელთან;
- სანაოსნო არხის მღვიმის საწყალოსნო მონაკვეთის გამოსასვლელთან;
- ნავისადგომი პირსი ხელოვნურ წყალსატევში;
- ნავების შესანახი სამეურნეო ნაგებობა წყლასატევთან;
- საზოგადოებრივი ტუალეტი;
- ხელოვნური წყალსატევის სანაპიროს კეთილმოწყობა;
- კიდული კაფეტერია და გადასახადი წყალსატევზე;
- წყლის დონის მარეგულირებელი დამბები ხელოვნურ წყალსატევთან და წყლასატევიდან 900მ მანძილზე მდ.უმის დინების მიმართულებით.

დამკვეთი: – წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქუთაისის მერია.

პროექტირება დასრულდა 2011წ. მაისში

დღევანდელი მდგომარეობა – მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

სამუშაოების დასრულება იგეგმება 2012წ მაისში

“პრომეთეს” მღვიმის
საწყალოსნო მონაკვეთი



ვიზუალიზაცია


მღვიმის საწყალოსნო
მონაკვეთი


მღვიმის საწყალოსნო
მონაკვეთი


ხედი ხელოვნურ ტბასა და არხზე